დოკუმენტი დამტკიცებულია უნივერსიტეტის
რექტორის 2020 წლის 20 მარტის №82 ბრძანებით

დოკუმენტში ცვლილებები განხორციელდა
უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 29 აგვისტოს
№231,2021 წლის 01 მარტის №1375, 2021 წლის 15
მარტის №1983, 2023 წლის 29 მაისის № 16680, 2023
წლის 25 ივლისის №23089 ბრძანებებით

შპს ევროპის უნივერსიტეტის
სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის
მეთოდოლოგია

2020

დოკუმენტის შინაარსი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები 3

მუხლი 2. სტუდენტთა კონტინგენტის განმსაზღვრელი ფაქტორები 3

მუხლი 3. სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განმსაზღვრელი ფაქტორების მიხედვით სტუდენტთა კონტინგენტის გამოთვლა 4

მუხლი 4. უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვა 16

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია განსაზღვრავს სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობებს უნივერსიტეტში მოქმედი პროგრამებისთვის.

2. ევროპის უნივერსიტეტში მოქმედ საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვა ხორციელდება ფაკულტეტების, კერძოდ კი ფაკულტეტის დეკანებისა და პროგრამის ხელმძღვანელების უშუალო ჩართულობით.

მუხლი 2. სტუდენტთა კონტინგენტის განმსაზღვრელი ფაქტორები

საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვისას მხედველობაში მიიღება შემდეგი ფაქტორები:

ა) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა;

ბ) მედიცინის ფაკულტეტის შემთხვევაში პრაქტიკის ბაზებზე არსებული პერსონალის რაოდენობა;

გ) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის განკუთვნილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა (ბიბლიოთეკის გამტარუნარიანობა, აუდიტორიების რაოდენობა და მათი გამტარუნარიანობა, მედიცინისა და სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტების შემთხვევაში ლაბორატორიების რაოდენობა და მათი გამტარუნარიანობა, მედიცინის ფაკულტეტის შემთხვევაში დამატებით სიმულაციური ცენტრის გამტარუნარიანობა);

დ) საგანმანათლებლო პროგრამის დამხმარე ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობა;

ე) საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნადობა (წინა წლების მონაცემებით პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველთა რაოდენობა);

ვ) პროგრამის მოთხოვნადობასთან დაკავშირებით წინა წლის მონაცემებისგან განსხვავებული მოლოდინები;

ზ) უნივერსიტეტისთვის დადგენილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა (უნივერსიტეტში მოქმედი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისთვის განსაზღვრული სტუდენტების რაოდენობის გათვალისწინება).

მუხლი 3. სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განმსაზღვრელი ფაქტორების მიხედვით სტუდენტთა კონტინგენტის გამოთვლა

1. საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის პროცესში, ზემოთ აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით, პროგრამაზე სტუდენტთა მაქსიმალური დაშვებული რაოდენობის გამოთვლა ხდება შემდეგნაირად:

ა) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის გათვალისწინებით პროგრამაზე სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა:

საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის საჭირო რაოდენობასა და სტუდენტთა რაოდენობას შორის კავშირი რეგულირდება „შპს ევროპის უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის“ შესაბამისად. აღნიშნული მეთოდოლოგიის თანახმად, საგანმანათლებლო პროგრამაზე აკადემიური და მოწვეული პერსონალის მინიმალური/მაქსიმალური დაშვებული რაოდენობები გამოითვლება შემდეგნაირად: საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში (ყველა საფეხურზე) ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსებზე ჩასატარებელი საათების მინიმუმ 51%-ს სავალდებულოა კითხულობდეს აკადემიური პერსონალი და შესაბამისად, მაქსიმუმ 49%-ს - მოწვეული პერსონალი, გარდა იმ შემთხვევისა, როცა პროგრამის სპეციფიკა შესაძლოა საჭიროებდეს განსხვავებულ თანაფარდობას. ამ შემთხვევაში, აკადემიური პერსონალისთვის დადგენილი სამიზნე ნიშნულია მინიმუმ 40%.

$$\textit{აკადემიური პერსონალის მინიმალური დასაშვები რაოდენობა} = \frac{\left[L\left(\frac{X_{st}}{L_{st}}/n\right) + P\left(\frac{X_{st}}{P_{st}}/n\right)\right] * 0.51}{H_{ac}}$$

სადაც,

L – საგანმანათლებლო პროგრამის კენტ/ლუწ სემესტრებში ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსების ფარგლებში კვირაში ჩასატარებელი სალექციო საათების რაოდენობა [1];

P – საგანმანათლებლო პროგრამის კენტ/ლუწ სემესტრებში ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსების ფარგლებში კვირაში ჩასატარებელი პრაქტიკული მეცადინეობების საათების რაოდენობა [2];

X_{st} *– საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული (აქტიური სტატუსის მქონე) სტუდენტების რაოდენობა;*

L_{st} *– სასწავლო კურსების თეორიულ ნაწილზე დასაშვები სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობა;*

P_{st} *– სასწავლო კურსების პრაქტიკულ ნაწილზე დასაშვები სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობა;*

H_{ac} *- აკადემიური პერსონალისთვის კვირაში დაშვებული საათების მაქსიმალური საშუალო რაოდენობა;*

n - საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო წლების რაოდენობა.

შენიშვნა:

1. ფორმულაში თანაფარდობები $\left(\frac{X_{st}}{L_{st}}\right)$ *და* $\left(\frac{X_{st}}{P_{st}}\right)$ *მრგვალდება ყოველთვის მეტობით (მაგ. თუ თანაფარდობის შედეგად მიღებულია 1.1, შედეგი დამრგვალდება 2-მდე). მეტობით მრგვალდება თანაფარდობით მიღებული შედეგის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო წლების რაოდენობაზე განაყოფიც.*

2. თანაფარდობები $\left(\frac{X_{st}}{L_{st}}\right)$ *და* $\left(\frac{X_{st}}{P_{st}}\right)$ *იყოფა საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო წლების რაოდენობაზე, ერთ კურსზე არსებული ჯგუფების საშუალო რაოდენობის გამოსათვალელად, ხოლო კვირაში ჩასატარებელი სალექციო და პრაქტიკული საათების სრული რაოდენობის გამოსათვლელად, საგანმანათლებლო პროგრამის კენტ/ლუწ სემესტრებში ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსების ფარგლებში კვირაში ჩასატარებელი სალექციო და*

---

[1] ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კურსების ფარგლებში ჩასატარებელი სალექციო საათების გამოთვლა ხდება კენტ და ლუწ სემესტრებში ცალ-ცალკე, ხოლო მიღებული რიცხვებიდან ვიღებთ უდიდესს.

[2] ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კურსების ფარგლებში ჩასატარებელი პრაქტიკული საათების გამოთვლა ხდება კენტ და ლუწ სემესტრებში ცალ-ცალკე, ხოლო მიღებული რიცხვებიდან ვიღებთ უდიდესს.

პრაქტიკული საათების რაოდენობა მრავლდება ერთ კურსზე არსებული ჯგუფების საშუალო რაოდენობაზე.

ფორმულაში გამოყენებული დაშვებები (პერსონალისთვის დაშვებული მაქსიმალური საათების რაოდენობა, ჯგუფში სტუდენტთა მაქსიმალური დაშვებული რაოდენობა) რეგულირდება „შპს ევროპის უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიით“.

კონკრეტულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დასაშვები სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობა აკადემიური პერსონალისთვის დადგენილი სამიზნე ნიშნულის გათვალისწინებით გამოითვლება აღნიშნული ფორმულის გამოყენებით. გამოთვლა ხორციელდება სტუდენტთა რაოდენობისთვის, ფორმულაში მითითებული სხვა სიდიდეების ფაქტობრივი მონაცემების გამოყენებით.

მედიცინის ფაკულტეტზე დიპლომირებული მედიკოსისა და სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში აკადემიური პერსონალის მინიმალურ რაოდენობასთან დაკავშირებული წესით დადგენილი სამიზნე ნიშნული ვრცელდება თეორიულ სასწავლო კურსებზე, შესაბამისად, ზემოაღნიშნული მეთოდოლოგიით გამოითვლება სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა საბაზისო სასწავლო კურსების სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობის საათების (მათ შორის ისეთი საბაზისო სასწავლო კურსების საკონტაქტო საათების, რომელიც ისწავლება ზედა კურსებზე) და საბაზისო სასწავლო კურსების განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის რაოდენობის გათვალისწინებით.

დიპლომირებული მედიკოსის და სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამების კლინიკური სასწავლო კურსების შემთხვევაში სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა გამოითვლება პრაქტიკის ბაზებზე არსებული პერსონალის მაქსიმალური რაოდენობის, მათთვის დაშვებული საათების მაქსიმალური რაოდენობის, კლინიკური სასწავლო კურსების სალექციო და პრაქტიული მეცადინეობის საათების რაოდენობის, კლინიკურ სასწავლო კურსებზე სალექციო და პრაქტიული მეცადინეობის საათებზე დაშვებული სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობის გათვალისწინებით.

სტუდენტთა დასაშვები რაოდენობა პრაქტიკის ბაზებზე არსებული პერსონალის მიხედვით

(დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამა)) =

$$= \frac{\Sigma(L_c * L_h)}{H_{cl} + 7H_{cp}} * 77 * n$$

სტუდენტთა დასაშვები რაოდენობა პრაქტიკის ბაზებზე არსებული პერსონალის მიხედვით (სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამა)) =

$$= \frac{\sum(L_c * L_h)}{H_{cl} + 5H_{cp}} * 55 * n$$

სადაც,

L_c - პრაქტიკის ბაზებზე კონკრეტული კლინიკური სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა;

L_h - თითოეული პერსონალისთვის დაშვებული საათების მაქსიმალური რაოდენობა;

H_{cl} – საგანმანათლებლო პროგრამის კონკრეტული კლინიკური სასწავლო კურსის სალექციო საათები;

H_{cp} – საგანმანათლებლო პროგრამის კონკრეტული კლინიკური სასწავლო კურსის პრაქტიკული მეცადინეობის საათები;

n - საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო წლების რაოდენობა.

დაჯამების ნიშანი გულისხმობს თითოეულ პრაქტიკის ბაზაზე არსებული კლინიკური სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალისა და მისთვის დაშვებული საათების მაქსიმალური რაოდენობების ნამრავლის დაჯამებას.

შენიშვნა: *ფორმულაში თანაფარდობები $\frac{\sum(L_c * L_h)}{H_{cl}+7H_{cp}}$ და $\frac{\sum(L_c * L_h)}{H_{cl}+5H_{cp}}$ მრგვალდება ყოველთვის ნაკლებობით (მაგ. თუ თანაფარდობის შედეგად მიღებულია 1.7, შედეგი დამრგვალდება 1-მდე). რადგანაც, „შპს ევროპის უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიით“ კლინიკური სასწავლო კურსების თეორიულ ნაწილზე დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში დაშვებულია მაქსიმუმ 77 სტუდენტი, პრაქტიკულ ნაწილზე კი მაქსიმუმ 11 სტუდენტი, ერთ სასწავლო კურსზე სალექციო ნაწილის ერთი ჯგუფი (77 სტუდენტი) უტოლდება პრაქტიკული მეცადინების 7 ჯგუფს (77/11=7 ჯგუფი). შესაბამისად, დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში თითოეულ კლინკურ სასწავლო კურსში ჩასატარებელი სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობის საათები ჯამში გამოითვლება სალექციო საათებისა და 7-ჯერ პრაქტიკული მეცადინეობის საათების დაჯამებით. ხოლო, რადგანაც სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში ზემოაღნიშნული მეთოდოლოგიის შესაბამისად კლინიკური სასწავლო კურსების თეორიულ ნაწილზე დაშვებულია მაქსიმუმ 55 სტუდენტი, პრაქტიკულ ნაწილზე კი მაქსიმუმ 11 სტუდენტი, ერთ სასწავლო კურსზე სალექციო ნაწილის ერთი ჯგუფი (55 სტუდენტი)*

უტოლდება პრაქტიკული მეცადინეების 5 ჯგუფს (55/11=5 ჯგუფი). შესაბამისად, სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში თითოეულ კლინკურ სასწავლო კურსში ჩასატარებელი სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობის საათები ჯამში გამოითვლება სალექციო საათებისა და 5-ჯერ პრაქტიკული მეცადინეობის საათების დაჯამებით.

ზემოაღნიშნული ფორმულით სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა გამოითვლება დიპლომირებული მედიკოსისა და სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამების თითოეული კლინიკური სასწავლო კურსისთვის. პრაქტიკის ბაზებზე არსებული პერსონალის მიხედვით აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დადგენისას მხედველობაში მიიღება მიღებული შედეგებიდან უმცირესი.

ბ) დიპლომირებული მედიკოსისა და სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამების გარდა, უნივერსიტეტში მოქმედი სხვა საგანმანათლებლო პროგრმების ფარგლებში პრაქტიკის ბაზების მიხედვით სტუდენტთა რაოდენობების გამოთვლა ხდება იმ შემთხვევაში თუ საგანმანთლებლო პროგრამა ითვალისწინებს პრაქტიკის სავალდებულო კომპონენტს. გამოთვლისას მხედველობაში მიიღება პარქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებების რაოდენობა, სემესტრის განმავლობაში ერთდროულად მისაღები სტუდენტების ხელშეკრულებებით დადგენილი მაქსიმალური რაოდენობა, ჯგუფებისა და ჯგუფში დაშვებული სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობა.

ზემოაღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით სტუდენტთა დასაშვები რაოდენობა პრაქტიკის ბაზების მიხედვით გამოითვლება შემდეგი ფორმულის გამოყენებით:

$$\textit{სტუდენტთა დასაშვები რაოდენობა პრაქტიკის ბაზების მიხედვით} = \Sigma\,(P_{st}) * \mathrm{n}$$

სადაც,

P_{st} *- სემესტრის განმავლობაში პრაქტიკის ობიექტებზე ხელშეკრულებით ერთდროულად დაშვებული სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობა.*

n - საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო წლების რაოდენობა.

დაჯამების ნიშანი გულისხმობს თითოეულ პრაქტიკის ობიექტზე ხელშეკრულებით ერთდროულად დაშვებული სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობების დაჯამებას.

ზემოაღნიშნული ფორმულით ვეტერინარიის და განათლების ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პრაქტიკის კომპონენტი გულისხმობს სხვადასხვა ტიპის პრაქტიკის ობიექტებზე (ვეტერინარიის საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: ფერმა, ვეტერინარული კლინიკა, აფთიაქი, ლაბორატორია და ა.შ. განათლების ადმინისტრირების პროგრამის შემთხვევაში: ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება) პრაქტიკის გატარებას. შესაბამისად, პრაქტიკის ბაზების მიხედვით სტუდენტთა მაქსიმალური დასაშვები რაოდენობა გამოითვლება თითოეული ტიპის პრაქტიკის ობიექტის შემთხვევაში და სტუდენტთა საბოლოო ზღვრული რაოდენობა მიიღება მათგან უმცირესი შედეგის არჩევით.

გ) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის განკუთვნილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ბიბლიოთეკის გამტარუნარიანობა, აუდიტორიების რაოდენობა და გამტარუნარიანობა, მედიცინისა და სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტების შემთხვევაში ლაბორატორიების რაოდენობა და მათი გამტარუნარიანობა, მედიცინის ფაკულტეტის შემთხვევაში სიმულაციური ცენტრის გამტარუნარიანობა) გათვალისწინებით პროგრამაზე სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა:

აუდიტორიები - მხედველობაში მიიღება საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში გამოყენებული აუდიტორიების რაოდენობა, ამასთანავე, ლექციებისა და პრაქტიკული მეცადინეობებისთვის განკუთვნილი აუდიტორიების ტევადობა (თითოეულ აუდიტორიაში სტუდენტთა ადგილების რაოდენობა) და სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობის საათებზე დაშვებული სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობა, აუდიტორიების დღიური და კვირეული საათობრივი დატვირთვა, საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში ლექციებისა და პრაქტიკული მეცადინეობებისთვის განსაზღვრული კვირეული საათების რაოდენობა.

ზემოაღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით სტუდენტთა დასაშვები რაოდენობა სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობის აუდიტორიების მიხედვით გამოითვლება შემდეგი ფორმულის გამოყენებით:

$$\textit{სტუდენტთა დასაშვები რაოდენობა სალექციო აუდიტორიების მიხედვით} = \frac{A_l * 72}{H_l} n * St_l$$

სადაც,

A_l – ლექციებისთვის განკუთვნილი აუდიტორიების რაოდენობა;

H_l – საგანმანათლებლო პროგრამის კენტი/ლუწი სემესტრების კვირეული სალექციო საათები პროგრამის ხანგრძლივობით ჯამში [3];

n – საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო წლების რაოდენობა;

St_l – ლექციაზე დასაშვები სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობა;

72 – თითოეული აუდიტორიის მაქსიმალური კვირეული საათობრივი დატვირთვა (72 აკადემიური საათი), 6 დღიანი სასწავლო კვირის და თითოეული ადიტორიის დღეში 12 საათით დატვირთვის პირობებში.

შენიშვნა: *ფორმულაში თანაფარდობა $\frac{A_l * 72}{H_l} n$ მრგვალდება ყოველთვის ნაკლებობით (მაგ. თუ თანაფარდობის შედეგად მიღებულია 1.7, შედეგი დამრგვალდება 1-მდე).)*

სტუდენტთა დასაშვები რაოდენობა პრაქტიკული მეცადინეობის აუდიტორიების მიხედვით =

$$= \frac{A_p * 72}{H_p} n * St_p$$

სადაც,

A_p – პრაქტიკული მეცადინეობებისთვის განკუთვნილი აუდიტორიების რაოდენობა;

H_p – საგანმანათლებლო პროგრამის კენტი/ლუწი სემესტრების კვირეული პრაქტიკული მეცადინეობის საათები პროგრამის ხანგრძლივობით ჯამში [4];

n – საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო წლების რაოდენობა;

St_p – პრაქტიკულ მეცადინეობაზე დასაშვები სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობა.

72 – თითოეული აუდიტორიის მაქსიმალური კვირეული საათობრივი დატვირთვა (72 აკადემიური საათი), 6 დღიანი სასწავლო კვირის და თითოეული ადიტორიის დღეში 12 საათით დატვირთვის პირობებში.

შენიშვნა: *ფორმულაში თანაფარდობა $\frac{A_p * 72}{H_p} n$ მრგვალდება ყოველთვის ნაკლებობით (მაგ. თუ თანაფარდობის შედეგად მიღებულია 1.7, შედეგი დამრგვალდება 1-მდე).)*

---

[3] *კურიკულუმის მიხედვით ხდება კენტი და ლუწი სემესტრების კვირეული სალექციო საათების ცალ-ცალკე დაჯამება. ფორმულაში ვეყრდნობით მათგან უდიდესს.*

[4] *კურიკულუმის მიხედვით ხდება კენტი და ლუწი სემესტრების კვირეული სალექციო საათების ცალ-ცალკე დაჯამება. ფორმულაში ვეყრდნობით მათგან უდიდესს.*

მედიცინის ფაკულტეტზე დიპლომირებული მედიკოსისა და სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში რადგანაც კლინიკური სასწავლო კურსები ისწავლება პრაქტიკის ობიექტებზე (კლინიკებში), აუდიტორიების მიხედვით სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გამოთვლაში მონაწილეობს მხოლოდ ის საბაზისო სასწავლო კურსები, რომლებიც ტარდება უნივერსიტეტის სივრცეში, უნივერსიტეტის აუდიტორიების გამოყენებით.

ლაბორატორიები/სასწავლო კაბინეტები - მხედველობაში მიიღება საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში გამოყენებული ლაბორატორიების რაოდენობა, მათი ტევადობა (თითოეულ ლაბორატორიაში სტუდენტთა ადგილების რაოდენობა) და ლაბორატორიული მეცადინეობის საათებზე დაშვებული სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობა, ლაბორატორიების დღიური და კვირეული საათობრივი დატვირთვა, საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში ლაბორატორიული მეცადინეობებისთვის განსაზღვრული კვირეული საათების მაქსიმალური შესაძლო რაოდენობა.

ზემოაღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით სტუდენტთა დასაშვები რაოდენობა ლაბორატორიების მიხედვით გამოითვლება შემდეგი ფორმულის გამოყენებით:

$$\textit{სტუდენტთა დასაშვები რაოდენობა ლაბორატორიების მიხედვით} = \frac{A_{lab} * 72}{H_{lab}} n * St_{lab}$$

სადაც,

A_{lab} *– უნივერსიტეტში არსებული ლაბორატორიების რაოდენობა;*

H_{lab} *– საგანმანათლებლო პროგრამის კენტი/ლუწი სემესტრების კვირეული ლაბორატორიული მეცადინეობის საათები პროგრამის ხანგრძლივობით ჯამში* [5]*;*

n *– საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო წლების რაოდენობა;*

St_{lab} *– ლაბორატორიულ მეცადინეობაზე დასაშვები სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობა;*

72 – თითოეული ლაბორატორიის მაქსიმალური კვირეული საათობრივი დატვირთვა (72 აკადემიური საათი), 6 დღიანი სასწავლო კვირის და თითოეული ლაბორატორიის დღეში 12 საათით დატვირთვის პირობებში.

[5] *კურიკულუმის მიხედვით ხდება კენტი და ლუწი სემესტრების კვირეული ლაბორატორიული საათების ცალ-ცალკე დაჯამება. ფორმულაში ვეყრდნობით მათგან უდიდესს.*

შენიშვნა: ფორმულაში თანაფარდობა $\frac{A_{lab} * 72}{H_{lab}} n$ *მრგვალდება ყოველთვის ნაკლებობით (მაგ. თუ თანაფარდობის შედეგად მიღებულია 1.7, შედეგი დამრგვალდება 1-მდე).)*

საგანმანათლებლო პროგრამის კენტი/ლუწი სემესტრების კვირეული ლაბორატორიული მეცადინეობის საათების (H_{lab}) გამოსათვლელად ჯამდება თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში კონკრეტულ ლაბორატორიაში ჩასატარებელი კვირეული ლაბორატორიული მეცადინეობის საათები. გამოთვლებისთვის გამოიყენება იმ კვირის დატვირთვები, სადაც ყველაზე მეტი დროითაა თითოეული ლაბორატორია დატვირთული ყველა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ჯამში.

სიმულაციური ცენტრი - მხედველობაში მიიღება საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში სიმულაციურ ცენტრში არსებული ოთახების რაოდენობა, ოთახში ერთდროულად დაშვებული სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობა, ოთახების დღიური და კვირეული საათობრივი დატვირთვა, საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში სიმულაციურ ცენტრში ჩასატარებელი პრაქტიკული მეცადინეობის კვირეული საათების მაქსიმალური შესაძლო რაოდენობა.

ზემოაღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით სტუდენტთა დასაშვები რაოდენობა სიმულაციური ცენტრის გამტარუნარიანობის მიხედვით გამოითვლება შემდეგი ფორმულის გამოყენებით:

$$\textit{სტუდენტთა დასაშვები რაოდენობა სიმულაციური ცენტრის მიხედვით} = \frac{A_{SC} * 72}{H_{SC}} n * St_{SC}$$

სადაც,

A_{SC} *– სიმულაციურ ცენტრში არსებული ოთახების რაოდენობა;*

H_{SC} *– საგანმანათლებლო პროგრამის კენტი/ლუწი სემესტრების იმ სასწავლო კურსების კვირეული პრაქტიკული მეცადინეობის საათები პროგრამის ხანგრძლივობით ჯამში, რომლებიც ტარდება სიმულაციურ ცენტრში [6];*

n *– საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო წლების რაოდენობა;*

St_{pSC} *– სიმულაციურ ცენტრში პრაქტიკულ მეცადინეობაზე ერთდროულად დასაშვები სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობა;*

[6] *კურიკულუმის მიხედვით ხდება კენტი და ლუწი სემესტრების კვირეული ლაბორატორიული საათების ცალ-ცალკე დაჯამება. ფორმულაში ვეყრდნობით მათგან უდიდესს.*

72 – სიმულაციურ ცენტრში არსებული თითოეული ოთახის მაქსიმალური კვირეული საათობრივი დატვირთვა (72 აკადემიური საათი), 6 დღიანი სასწავლო კვირის და თითოეული ოთახის 12 საათით დატვირთვის პირობებში.

შენიშვნა: ფორმულაში თანაფარდობა $\frac{A_{lab} * 72}{H_{lab}} n$ *მრგვალდება ყოველთვის ნაკლებობით (მაგ. თუ თანაფარდობის შედეგად მიღებულია 1.7, შედეგი დამრგვალდება 1-მდე).*

დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში სიმულაციურ ცენტრში არსებული ოთახების რაოდენობაა 12, ხოლო სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში დამატებით 5 ოთახი. ფორმულაში გამოყენებული დაშვებები (სალექციო და პრაქტიკული/ლაბორატორიული მეცადინეობის საათებზე, ასევე, სიმულაციურ ცენტრში პრაქტიკული მეცადინეობის საათებზე ჯგუფში სტუდენტთა მაქსიმალური დაშვებული რაოდენობა) რეგულირდება „შპს ევროპის უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიით“.

სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობის აუდიტორიების, ასევე ლაბორატორიების და სიმულაციური ცენტრის მიხედვით ზემოაღნიშნული ფორმულების გამოყენებით დათვლილი შედეგებიდან, სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მიზნით ვიყენებთ უმცირეს შედეგს.

ბიბლიოთეკა - მხედველობაში მიიღება ბიბლიოთეკის ტევადობა (ბიბლიოთეკაში სტუდენტთა ადგილების რაოდენობა), ბიბლიოთეკის სამუშაო საათების და სამუშაო დღეების რაოდენობა, სტუდენტის მიერ საშუალოდ ბიბლიოთეაკში გატარებული საათების რაოდენობა (აღნიშნული მონაცემის დათვლისას უნივერსიტეტი ეყრდნობა სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებს მათ მიერ ბიბლიოთეკაში გატარებული საათების საშუალო რაოდენობის შესახებ).

სტუდენტთა დასაშვები რაოდენობა ზემოაღნიშნული მონაცემების გათვალისწინებით გამოითველბა შემდეგი ფორმულით:

$$\text{სტუდენტთა დასაშვები რაოდენობა საბიბლიოთეკო მონაცემების მიხედვით} = L_p * \frac{Hl}{H_{st}} * L_d$$

სადაც,

Lp – ბიბლიოთეკაში სტუდენტთა ადგილების რაოდენობა;

Hl - ბიბლიოთეკის სამუშაო საათების რაოდენობა დღეში (10 საათი, მედიცინის კორპუსის შემთხვევაში 13 საათი);

H_{st} - ბიბლიოთეკაში სტუდენტის მიერ გატარებული საათების საშუალო რაოდენობა დღეში (გამოკითხვის საფუძველზე ერთი სტუდენტის მიერ ბიბლიოთეკაში გატარებული საათების რაოდენობად დადგენილია დღეში საშუალოდ 2 საათი);

$\frac{H_l}{H_{st}}$ *– ბიბლიოთეკის სამუშაო საათებისა და სტუდენტის მიერ ბიბლიოთეკაში გატარებული საშუალო დროის გათვალისწინებით სტუდენტთა ნაკადის შესაძლო რაოდენობა (5 ან 6 ნაკადი, 10 ან 13 საათიანი სამუშაო დღისა და იმ პირობის გათვალისწინებით, რომ სტუდენტი ბიბლიოთეკაში ატარებს საშუალოდ 2 საათს დღეში);*

L_d – ბიბლიოთეკის სამუშაო დღეების რაოდენობა (6 დღე).

დ) საგანმანათლებლო პროგრამის დამხმარე ადმინისტრაციული პერსონალის[7] რაოდენობის გათვალისწინებით პროგრამაზე სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა:

საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვისას მხედველობაში მიიღება სტდენტთა და პროგრამის დამხმარე ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობების სათანადოდ მიღებული თანაფარდობა. დამხმარე ადმინისტრაციული პერსონალისა და სტუდენტთა რაოდენობების სათანადო თანაფარდობად დადგენილია 300 სტუდენტზე 1 დამხმარე ადმინისტრაციული პერსონალის არსებობა. აღნიშნულის გათვალისწინებით განისაზღვრება საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა დასაშვები რაოდენობა.

სტუდენტთა დასაშვები რაოდენობა დამხმარე ადმინისტრაციული პერსონალის მიხედვით =

$$= 300 * X_{ad}$$

სადაც,

300 – ერთ სტუდენტზე დადგენილი დამხმარე ადმინისტრაციული პერსონალის სათანადო რაოდენობა;

X_{ad} - საგანმანათლებლო პროგრამის დამხმარე ადმინისტრაციული პერსონალის არსებული რაოდენობა.

[7] *პროგრამის დამხმარე ადმინისტრაციულ პერსონალში მოიაზრება დეკანი, დეკანის მოადგილეები, პროგრამის ხელმძღვანელები და თანახელმძღვანელები და სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერები.*

ე) საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნადობის გათვალისწინებით პროგრამაზე სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა:

საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნადობა მოცემულ შემთხვევაში გულისხმობს პროგრამაზე წინა წლების მონაცემებით ჩარიცხვის მსურველთა რაოდენობის და ასევე, უნივერსიტეტის ფარგლებში სხვა საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის მსურველ სტუდენტთა რაოდენობის გათვალისწინებას მომავალში პროგრამაზე სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვისას მხედველობაში მიიღება წინა წლების მონაცემების მიხედვით პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველთა ხვედრითი წილი და უნივერსიტეტისთვის დადგენილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა. პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველთა ხვედრითი წილის უნივერსიტეტისთვის დადგენილ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობაზე გამრავლებით განისაზღვრება თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა.

$$\textit{სტუდენტთა რაოდენობა საგანმანათლებლო პროგრამების მოთხოვნადობის მიხედვით} = \left(\frac{Y_p}{Y_t}100\right)Xt$$

სადაც,

Xt - უნივერსიტეტისთვის დადგენილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა;

Yt - უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის მსურველთა მთლიანი რაოდენობა;

Yp - კონკრეტულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველთა რაოდენობა;

$\frac{Y_p}{Y_t}100$ - *საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველთა ხვედრითი წილი.*

2. საგანმანათლებლო პროგრამებს შორის სტუდენტთა რაოდენობის განაწილება შესაძლებელია შეიცვალოს უნივერსიტეტის სურვილის შესაბამისად, პროგამების მოთხოვნადობასთან დაკავშირებით განსხვავებული მოლოდინის მიხედვით, მეთოდოლოგიის შესაბამისად თითოეული პროგრამისთვის შეფასებული რესურსის გათვალისწინებითა და უნივერსიტეტისთვის დადგენილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის ფარგლებში.

მუხლი 4. უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვა

უნივერსიტეტში სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვა ხორციელდება წინამდებარე მეთოდოლოგიის შესაბამისად. სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის პროცესში მხედველობაში მიიღება და გამოითვლება ზემოთ აღნიშნული თითოეული ფაქტორი და სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობად განისაზღვრება თითოეულ შემთხვევაში გამოთვლის შედეგად მიღებულ სუდენტთა მაქსიმალურ დაშვებულ რაოდენობებს შორის უმცირესი.

სტუდენტთა მაქსიმალური დასაშვები რაოდენობა *= სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განმსაზღვრელი ფაქტორების მიხედვით დათვლილ შედეგებს შორის უმცირესი.*